პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 28 (5837)

1977 წ. 9 თებერვალი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ორბიტაზეა ხომალდი „სოიუზ-24"

საკდესის ცნობა

●

1977 წლის 7 თებერვალს 19 საათსა და 12 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირში გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-24", რომელსაც პილოტობს ეკიპაჟი: ხომალდის მეთაური საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი პოლკოვნიკი ვიქტორ ვასილის ძე გორბატკო და ბორტინჟინერი პოდპოლკოვნიკ-ინჟინერი იური ნიკოლოზის ძე გლაზკოვი.

ხომალდ „სოიუზ-24"-ის გაშვების მიზანია გაგრძელდეს მეცნიერულ-ტექნიკური კვლევა და ექსპერიმენტები ორბიტული სამეცნიერო სადგურიდან „სალუტ-5", რომლებიც 1976 წლის 7 ივლისს დაიწყო სატრანსპორტო ხომალდის „სოიუზ-21"-სა და სადგურ „სალუტ-5"-ის ერთობლივი ფრენის დროს.

ხომალდ „სოიუზ-24"-ის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. ეკიპაჟის წევრები თავს კარგად გრძნობენ.

კოსმონავტები ამხანაგები გორბატკო და გლაზკოვი შეუდგნენ ფრენის პროგრამის შესრულებას.

ბიოგრაფიული ცნობები

პოლკოვნიკი ვიქტორ ვასილის ძე გორბატკო

კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-24"-ის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ვიქტორ ვასილის ძე გორბატკო 1934 წელს დაიბადა კრასნოდარის მხარის კავკაზსკის რაიონის დაბა ვენცი-ზარიაში.

ბატაისკის მფრინავთა სამხედრო საავიაციო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვ. ვ. გორბატკო საბჭოთა არმიის ავიანაწილებში მსახურობდა.

1960 წელს ვ. ვ. გორბატკო კოსმონავტთა რაზმის წევრი გახდა. 1968 წელს მან მუშაობას მოუწყვეტლივ დაამთავრა ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო საინჟინრო აკადემია.

1969 წლის ოქტომბერში ვიქტორ ვასილის ძე გორბატკო მონაწილეობდა სამი კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-6", „სოიუზ-7", „სოიუზ-8" ჯგუფურ ფრენაში, როგორც ხომალდ „სოიუზ-7"-ის მკვლევარი ინჟინერი, იყო ხომალდ „სოიუზ-23-"ის მეთაურის დუბლიორი.

ვ. ვ. გორბატკო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1959 წლიდან. იგი დიდ საზოგადო მუშაობას ეწევა, არის საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის საპარაშუტო სპორტის ფედერაციის თავმჯდომარე.

პოდპოლკოვნიკ-ინჟინერი იური ნიკოლოზის ძე გლაზკოვი

კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-24"-ის ბორტინჟინერი იური ნიკოლოზის ძე გლაზკოვი 1939 წელს დაიბადა მოსკოვში.

1962 წელს მან ხარკოვის უმაღლესი საავიაციო საინჟინრო სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა, შემდეგ ინჟინრად მუშაობდა საბჭოთა არმიის ავიანაწილებში.

ი. ნ. გლაზკოვი კოსმონავტთა რაზმში 1965 წელს ჩაირიცხა. კოსმოსური ფრენისთვის მზადების პროცესში იური ნიკოლოზის ძე გლაზკოვი მფრინავის პროფესიას დაეუფლა, დაფრინავდა სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავებით; არის სამხედრო-საჰაერო ძალების საპარაშუტო-სადესანტო მომზადების ინსტრუქტორი.

ი. ნ. გლაზკოვს არაერთგზის მიუღია მონაწილეობა პილოტირებული კოსმოსური ხომალდებისა და სადგურების ფრენის მართვაში, იყო ხომალდ „სოიუზ-23"-ის ბორტინჟინრის დუბლიორი.

ი. ნ. გლაზკოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1966 წლიდან.

1974 წელს იური ნიკოლოზის ძე გლაზკოვმა საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა.

კალათბურთი

ქულები თანაბრად

არაერთხელ გვითქვამს, რომ თბილისის „ბურევესტნიკის" კალათბურთელ ქალთა გუნდს წლეულს ბევრად საიმედო პერსპექტივები აქვს. მით უმეტეს დასანანია, რომ გუნდმა საკუთარ კედლებში წაიფორხილა. ეს მოხდა შაბათს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზში, სადაც გაიმართა მატჩი „ა" კლასის I ლიგის საკავშირო პირველობის ერთ-ერთ ლიდერთან ვოლგოგრადის „დინამოსთან".

ბრძოლა ძალიან მძაფრი გამოდგა. მასპინძლებმა შესანიშნავად ააწყვეს თამაში და პირველი ტაიმის მანძილზე 7-8 ქულით იყვნენ წინ. მაგრამ, როგორც კი მწვრთნელმა თბილისელთა ლიდერი ლობიანი დაასვენა, სტუმრებმა ანგარიშში სხვაობა მკვეთრად შეამცირეს. ტაიმის დასასრულს ანგარიში საყაიმო იყო — 46:46. შესვენების შემდეგ სტუმრები დაწინაურდნენ. როცა მატჩის დამთავრებას წამები აკლდა, ისინი იგებდნენ ანგარიშით 84:83. ამ მომენტში თბილისელმა ზახარჯიანმა 2 საჯარიმო ტყორცნა და ორივე მიზანს ააცდინა. ასე დაიკარგა მეტად საჭირო ქულა. საუკეთესო სნაიპერები იყვნენ — ნოვიკოვა (23 ქულა) და ლობიანი (22).

განმეორებითი შეხვედრაც დაძაბული გამოდგა. პირველივე ტაიმში სტუმართა ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე კოჟინა ხუთჯერ დაჯარიმდა და თამაშსაც გამოეთიშა. ამან მასპინძლებს საშუალება მისცა უფრო თავისუფლად ემოქმედათ და ტაიმიც მოიგეს — 50:41. შეხვედრის მეორე ნახევარში ლობიანის, გოგლიძის, ნიკოლაიშვილისა და ზახარჯიანის შეთანხმებული თამაშის წყალობით მასპინძლებმა კიდევ უფრო გაზარდეს ანგარიშში სხვაობა და მატჩი მოიგეს ანგარიშით 93:78. სტუმართაგან თავი გამოიჩინა ვორობკოვამ — 22 ქულა, მასპინძელთაგან კვლავ საუკეთესო იყო ლობიანი — 26 ქულა.

ა. ცეხანელი.

* * *

სურათზე: შეხვედრის მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ვინ იქნება პირველი ლაურეატი?

●

კონკურსი სპორტული ჟურნალისტებისთვის

●

საქართველოში ფიზკულტურასა და სპორტში ჩამორჩენის გამოსასწორებლად უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა — დაისახა ღონისძიებანი სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებისთვის, მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისთვის, ამაღლდა ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის დონე, იმატა საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე საქართველოს ათლეტთა წარმატებებმა.

ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ რესპუბლიკის სპორტულ ჟურნალისტებს, რომლებიც თავიანთი ბასრი კრიტიკით, ნარკვევებით, ჩანახატებითა და რეპორტაჟებით კიდევ უფრო ხელს უწყობენ მოსახლეობაში ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდას, განაზოგადებენ მოწინავე კოლექტივების, მწვრთნელების მუშაობის დადებით გამოცდილებას, დაუნდობლად იბრძვიან ყოველგვარი დამახინჯების, სიყალბის, უდისციპლინობის წინააღმდეგ.

მაგრამ მიღწეული არ გვაკმაყოფილებს. რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, მოსახლეობის ფართო მასებში მისი პროპაგანდის დონის ამაღლებისა და შემდგომი პოპულარიზაციის მიზნით საქართველოს სპორტკომიტეტმა დაადგინა ყოველწლიურად ჩატარდეს კონკურსები საქართველოს საუკეთესო სპორტულ ჟურნალისტთა გამოსავლენად. კონკურსის პირობებით გათვალისწინებულია პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით ახალგაზრდული თამაშების, სპარტაკიადების, ოლიმპიური თამაშების, რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო ტურნირების ოპერატიულად, მაღალ დონეზე გაშუქება, რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა.

კონკურსში გამარჯვებული სპორტული ჟურნალისტი დაჯილდოვდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის საპატიო სიგელით, ოქროს მედლითა და საზღვარგარეთ გამართული შეჯიბრების უფასო საგზურით.

მეორე ადგილზე გასული ჟურნალისტისთვის დაწესებულია საქართველოს სპორტკომიტეტის საპატიო სიგელი, ოქროს მედალი და საგზური რომელიმე დიდ საკავშირო ასპარეზობაზე.

მესამე პრიზიორი მიიღებს რესპუბლიკის სპორტკომიტეტის საპატიო სიგელსა და ოქროს მედალს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა რესპუბლიკის საუკეთესო სპორტულ ჟურნალისტთა გამოსავლენად შექმნა სპეციალური კომისია 7 კაცის შემადგენლობით.

თუ ვინ იქნებიან ჟურნალისტთა კონკურსის პირველი ლაურეატები, ამას წლის დამლევს შევიტყობთ.

თხილამურები

ოლიმპიელები ბაკურიანის ბილიკებზე

ბაკურიანი, 8 თებერვალი. (ტელეფონით). საქართველოს „თეთრი მარგალიტის" მიდამოები კვლავ გადაიქცა საკავშირო თასების გათამაშების სარბიელად. ძვირფასი ჯილდოებისთვის აქ მორბენლები და ბიატლონისტები იბრძვიან ცალ-ცალკე.

ბიატლონისტებმა ასპარეზობა 20 კილომეტრზე რბოლით დაიწყეს. ამინდი სპორტსმენებს მაინცდამაინც ხელს არ უწყობდა — სითბო და თოვლის სიმცირე მონაწილეებისგან დიდ ენერგიას მოითხოვდა, რაც შედეგებზეც ახდენდა გავლენას. ინსბრუკის ოლიმპიადის ჩემპიონმა ნ. კრუგლოვმა (გორკი) მაინცდამაინც სწრაფად ვერ ირბინა, მაგრამ მთავარ მეტოქეზე ნაკლები ჯარიმა მიიღო და საბოლოოდ თასიც მოიპოვა — 1:15.30 (4). II ადგილზე გავიდა ა. რასტოპინი (სუმი) — 1:16.42 (1), მესამე იყო მოსკოველი ბიატლონისტი ვ. სოკოლოვი — 1:17.19 (3).

სპრინტერულ რბოლაში (10 კმ) იმარჯვა ოთხგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ნოვოსიბირსკელმა ა. ტიხონოვმა, რომელსაც ორ საცეცხლე პოზიციაზე ერთი ტყვიაც არ აუცდენია მიზნისთვის. მისი საბოლოო შედეგია 37.25,0. კრუგლოვი II ადგილს დასჯერდა 38.11,0 (2). მინსკელმა ვ. ტოლკაჩევმა უფრო ზუსტად ისროლა, ვიდრე კრუგლოვმა, მაგრამ რბენაში მეტოქეს ჩამორჩა და III ადგილზე გავიდა — 38.24,0 (1).

გუშინ ბრძოლაში ჩაებნენ მოთხილამურენი. ვაჟები 15 კილომეტრზე დარბოდნენ. უძლიერესი აღმოჩნდა ოლიმპიური ჩემპიონი ნ. ბაჟუკოვი (სიკტივკარი) — 47.56,0. მან კიროველ ი. სკობოვს თითქმის 21 წამი მოუგო — 48.16,8. ბაჟუკოვის თანაქალაქელი ვ. როჩევი III. ადგილზეა — 48.23,4.

დღეს ბიატლონისტები ერთმანეთს 4×7,5 კილომეტრზე ესტაფეტაში ეჯიბრებოდნენ. ასპარეზობა მოიგო შეიარაღებული ძალების პირველმა ნაკრებმა — 1:50.02. II ადგილზე გავიდა კლუბების ნაკრები გუნდი — 1:53.14, მესამე იყო „ლოკომოტივის" კვარტეტი — 1:53.20.

5 კილომეტრზე მორბენალ ქალებში სსრ კავშირის თასი მოიპოვა გ. კულაკოვამ — 16.22,2. მომდევნო ადგილებზე არიან ასევე სსრ კავშირის ნაკრების წევრები ზ. ამოსოვა — (16.30,4) და რ. სმეტანინა (16.45,8).

ხვალ გაიმართება შეჯიბრება 50 კილომეტრზე რბენაში.

ვ. ფანჯაკიძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

გუშინ...

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამო" და ქ. ლუბლიანის (იუგოსლავია) „ოლიმპია".

მატჩი მოიგეს მასპინძლებმა, ანგარიშით 5:0 (3:0). ბურთები გაიტანეს: გუცაევმა, შენგელიამ, ყიფიანმა, დარასელიამ (2).

ფეხბურთი

11 თებერვალს

თბილისში, ჰადრაკის სასახლეში (ლენინის ქ. № 37) გაიმართება საქართველოს „კოლმეურნის" VII რესპუბლიკური კონფერენცია.

დასაწყისი დღის 12 საათზე.

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე დილის 10 საათიდან.

15 თებერვალს

თბილისში, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში (ჭავჭავაძის პრ. № 49) გაიმართება „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური კონფერენცია.

დასაწყისი 14 ს.

წერილები რედაქციას

მკითხველი შენიშნავს, გვთავაზობს, გვირჩევს, დახმარებას გვთხოვს

- დაპირება დაპირებად დარჩა
- საცხოვრებელი სახლი ფეხბურთის მინდორზე?!
- საკუთარი ძალებით მოვაწყოთ მარტივი ტიპის სპორტული მოედნები!
- რატომ არ უნდა იყოს თბილისში ანდრო ჟორდანიას ქუჩა?
- უმოქმედო ტირი
- რად გვინდა ენის მოსატეხი სახელები?

ნათლიების მოლოდინში

ნაცნობი შემხვდა და მეუბნება: გაზეთში წავიკითხე, საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში მოცურავეთა შეჯიბრება ჩატარდაო. ვერაფრით მივხვდი, ეს აუზი სად არისო.

ვიფიქრე, ჩემი ნაცნობი ხუმრობის ხასიათზეა თუა-მეთქი, რადგან მას სპორტის დიდ გულშემატკივრად ვიცნობ. თანაც, ამ საცურაო აუზში ბევრჯერ ერთადაც ვყოფილვართ. ეგ კი არა და, ერთადაც გვიცურავია.

როდესაც მივხვდი, რომ ჩემი ნაცნობი სულაც არ იყო ხუმრობის ხასიათზე, კითხვაზე კითხვითვე მივუგე: აბა, თბილისში, ვაკის საცურაო აუზს რა ჰქვია მეთქი?

ჩემმა ნაცნობმა წარბები მაღლა აზიდა, მერე კი მითხრა, იმ ოჯახაშენებულ კორესპონდენტს დაეწერა, შეჯიბრება ვაკის საცურაო აუზში ჩატარდაო. ასე უფრო მოხერხებულია, მოკლე და კონკრეტულიო.

ღმერთმანი, ის ჩემი ნაცნობი ცამდის მართალია. აი, ვაკე რომ საცურაო აუზებით ისე იყოს მოფენილი, როგორც ნაწვიმარი ტყე სოკოებით, მაშინ სხვა საქმეა, თორემ აქაური ერთადერთი საცურაო აუზის ადგილმდებარეობა ყველამ იცის. ეგეც არ იყოს, საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზი მართლაც მეტისმეტად გრძელი და ერთობ პროზაული სახელწოდებაა. განა არა სჯობს, ამ აუზს თოლია, დელფინი ან, თუნდაც, იგივე ვაკის საცურაო აუზი დავარქვათ?

გავიხსენოთ „შრომითი რეზერვების" საცურაო აუზი თბილისში, რომელსაც „სიხარული" უწოდეს.

არც „ლოკომოტივის" საცურაო აუზის სახელი ჟღერს მაინცდამაინც კეთილხმოვნად. სხვათა შორის, იმ ჩემმა ნაცნობმა არც ამ აუზის ადგილმდებარეობა იცოდა. მაგრამ, როდესაც ვუთხარი, ორთაჭალაშია მეთქი, უმალ გაიხსენა. ღრმად ვარ დარწმუნებული, ის ჩემი ნაცნობი ერთადერთი არ არის, რომელმაც არ იცის, სად არის „ლოკომოტივის" საცურაო აუზი.

ორთაჭალის აუზი! ისიც ერთადერთია მთელს ორთაჭალაში. იქნებ მას „300 არაგველის" საცურაო აუზი ვუწოდოთ. იქვეა „300 არაგველის" სადგური, 300 არაგველის ობელისკი.

იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ მხოლოდ საცურაო აუზებსა აქვთ ენის სამტვრევი სახელები. მაშინ ჩვენს სხვა სპორტულ ბაზებსაც გადავხედოთ: საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის [illegible] და [illegible]ბის დარბაზი, საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ტანვარჯიშული დარბაზი...

თუმცა, არც ისეა საქმე, თითქოს თბილისის ყველა სპორტულ ბაზას უხეირო სახელები ჰქონდეს. გავიხსენოთ ჩვენი სტადიონები „ცისარტყელა", „ისანი" და საცურაო აუზი „საირმე". მაგრამ ეს წვეთია ზღვაში.

გავიხსენოთ ჩვენი საქსპორტვაჭრობის მაღაზიები „შევარდენი", „ამირანი", „ტურისტი", „ვარკეთილი", „განთიადი"... იქნებ სჯობს, მივბაძოთ მათი „ნათლიების" მონდომებასა და გამოცდილებას...

ჯერჯერობით კი ჩვენი სპორტული ბაზები დგანან და ელიან ისეთ ნათლიებს, რომლებიც მოკლე, კონკრეტულ და კეთილხმოვან სახელებს მოიფიქრებენ.

ა. გურამიშვილი.

ღვაწლის დასაფასებლად

დიდი და დაუფასებელია ღვაწლი, რომელიც ქართულ ფეხბურთს დასდო სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ანდრო ჟორდანიამ. ჩვენი აზრით, ურიგო არ იქნება თუ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას დაერქმევა ქართული ფეხბურთის გამოჩენილი მოამაგის ა. ჟორდანიას სახელი.

ა. სოსელია,
პედაგოგი.

დარბაზში ცივა

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სპორტული წრეებიდან ბევრმა ნიჭიერმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა გაიკაფა გზა დიდ სპორტში. ნორჩ სპორტსმენთა დაოსტატებას აქ ბევრი გამოცდილი სპეციალისტი ხელმძღვანელობს. სასახლეში ახლაც მეცადინეობენ ნიჭიერი, საუცხოო სპორტული მონაცემებით დაჯილდოებული ბავშვები. მაგალითად, ჰყავთ პერსპექტიული ტანმოვარჯიშეები — ორი სპორტის ოსტატი, ხუთი პირველთანრიგოსანი...

ტანვარჯიშის დარბაზში რომ შევდით, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი თინათინ ზურაბიშვილი უმცროსების ჯგუფს ამეცადინებდა. მალე ისინი უფროსებმა შეცვალეს. მასწავლებელიცა და მოწაფეებიც გულმოდგინედ მეცადინეობდნენ, მაგრამ ნანახმა მაინც გული დაგვწყვიტა. დარბაზი მოუწყობელია, არა აქვთ ტანვარჯიშული ინვენტარი. იმის გამო, რომ გათბობის საქმე ვერ მოუგვარებიათ, ბავშვებს სიცივეში უხდებათ ვარჯიში.

ვინ იცის, იქნებ ამგვარი გულგრილობაც არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მთელ რესპუბლიკაშიც და დედაქალაქშიც მაღალი კლასის ტანმოვარჯიშეები დღეს თითებზე ჩამოსათვლელი გვყავს.

რ. შანიძე.

ვიჩქაროთ!

ცნობილია, რომ 30-იან წლებში საქართველოს რკინიგზის სატრანსპორტო ინსტიტუტის სპორტული „მოძრაობა" ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გასცდა და სამაგალითო გახდა სხვა უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურელებისთვის.

ინსტიტუტმა თავის დროზე ააგო სპეციალური სპორტული კომპლექსი — სპორტდარბაზი გასახდელებით, ტირი, კათედრა, სამასწავლებლო, საექიმო კაბინეტი, სპორტინვენტარის საწყობი, ჰიდრავლიკის კაბინეტი და ღია საცურაო აუზი.

მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა, სტუდენტთა კონტიგენტი წლითიწლობით იზრდება. აი, სპორტული ბაზები კი ისევ ისეთი დარჩა, არაფერი შემატებია. როგორც ცნობილია, ინსტიტუტმა ადგილმდებარეობა იცვალა, აიგო ახალი სასწავლო კორპუსი...

და, რა გასაკვირია, რომ ეს სპორტული კომპლექსი დღეს ვერ დააკმაყოფილებს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მრავაათასიან სტუდენტთა მოზღვავებას.

ინსტიტუტის პირველი კორპუსის სპორტდარბაზს საკმაოდ „გადატვირთული ნაგებობებით სავსე" ეზო აკრავს. აქ მოთავსებულია მოქმედი თუ გამოუყენებელი ავტო-ბოქსები, მათ შორის „ჩაჭედილია" მიჭეჭყილი, დაჟეჟილი, ჯართადაც გამოუყენებელი მსუბუქი ავტომანქანა.

აქვე აღმართულია უზარმაზარი ლითონის გალია, წლების მანძილზე შიგ გამომწყვდეული იყო ფრთებგაშლილი, „წელმოწყვეტილი" თვითმფრინავი, რომელიც ახლა სადღაც „გამქრალა".

ოდესღაც ასფალტნაგები ეზო ახლა ორმოებითაა „იწონებს" თავს, ამასთანავე იგი წლობით დაუგველ-მოუსუფთავებელია, ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. ეს ამბავი ხომ ქალაქის სანეპიდსადგურის რეიდის წევრებმა შარშან პრესაშიც აღნიშნეს.

ჩვენი მიზანია ხსენებული ეზო სპორტულ ბაზად გადავაქციოთ. აქ მოწყობილი სახტომი ორმოების, ბირთვის კვრის სექტორების, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნების მაქსიმალურად გამოყენება შესამჩნევად გამოაცოცხლებს მუშაობას, განიტვირთება სპორტდარბაზიც. რა დასამალია, სუფთა ჰაერზე ვარჯიში სჯობია დარბაზში მეცადინეობას.

მაშ, გავანძრიოთ ხელი, ვიჩქაროთ, რომ ამ სასწავლო წლის მეორე ნახევარშივე მოვახმაროთ ხსენებული ობიექტები ჩვენი აღსაზრდელების გაკაჟებას, ჯანმრთელობას.

ინსტიტუტის დამპროექტებლები არ დაგვზარდებიან, კათედრის თანამშრომლები, სტუდენტები, ვფიქრობ, დადებითად გამოეხმაურებიან ამ ამბავს.

ეს აზრი ახლოა რეალობასთან, ვინაიდან ეზოს „სპორტულ სამყაროდ გადასაქცევად" არც დიდი დროა საჭირო და არც დიდი თანხები.

ა. კაიშაური,
სპი-ს ფიზაღზრდის მასწავლებელი.

სამშენებლო მასალა რომ მოგვცენ...

საგარეჯოში სასროლო სპორტის მოყვარული ახალგაზრდა ბევრია. ისინი გატაცებით ეუფლებოდნენ ამ სახეობას და წარმატებებსაც აღწევდნენ. მაგრამ ჩვენს ამ ერთადერთ ბაზაში ბოლო ხანს ვარჯიში შეუძლებელი გახდა ტირის ერთ-ერთი კედლის დაზიანების გამო. ეს ამბავი დოსაafის რაიონულ კონფერენციაზეც კი ითქვა, მაგრამ საქმე ჯერ კიდევ ადგილიდან არ დაძრულა.

არადა, რა დიდი საქმეა შენობის ერთი პატარა კედლის შეკეთება. სამშენებლო მასალა რომ მოგვცენ, ამას საკუთარი ძალებითაც შევძლებდით.

საგარეჯოელი სპორტის მოყვარულები.

მანქანები... სპორტულ მოედანზე

მას შემდეგ, რაც გლდანის მიდამოებში მშენებლებმა პირველი საცხოვრებელი კორპუსის ბალავარი გათხარეს, შვიდი წელი გავიდა. დღეს გლდანის მასივი ერ-ერთი საუკეთესო დასახლებაა ჩვენს დედაქალაქში. ეს ყველას გვეამაყება, მაგრამ გულსატკენი ისაა, რომ სპორტის მოყვარულები საცხოვრებელ კორპუსებთან ამაოდ ეძებენ სათამაშო მინდვრებსა და მოედნებს.

ამჟამად მასივის მე-4 მიკრორაიონში 16 ათასზე მეტი მოსახლეა. ამხელა დასახლებას მხოლოდ ერთი სპორტული მოედანი გვქონდა და... აღარ გვაქვს. ამ მოედანს ჯერ სანაგვედ იყენებდნენ, შემდეგ გავწმინდეთ, გავასუფთავეთ, მაგრამ თამაში ვინ გვაცალა — უმალვე ავტოსადგომად გადააქციეს. უფროსებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, უმოედნოდ დარჩა მიკრორაიონში მცხოვრები 7 ათასი მოზარდი. მართალია, სახლმმართველობა გვამშვიდებს, სამაგიერო ადგილს გამოგიყოფთო, მაგრამ დრო გადის, დაპირება კი დაპირებად რჩება.

იქნებ საქმეში თქვენი ჩარევის შემდეგ მაინც მოგვაქციონ ყურადღება.

მიკრორაიონის ახალგაზრდების დავალებით

ზ. ნოზაძე,
ფიზკულტურის ინსტიტუტის საზოგადოებრივი პროფესიების ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტი.



გ. იაშვილის ნახატი.

დანგრეული სტადიონი და დაუსრულებელი მშენებლობა

დაბა შორაპანში ორი მდინარის, ძირულასა და ყვირილას შესართავთან, ზედ ფეხბურთის მინდორზე ქუთაისელმა მშენებლებმა პირველი ხუთსართულიანი სახლი რომ წამოჭიმეს, თითქოს გაიფანტა ის ეჭვები, რომლებიც მაშინ დაბისა და მის ახლო-მახლო სოფლების ახალგაზრდობაში წარმოიშვა.

თავიდან კი, ვიდრე სტადიონზე ამწეს აღმართავდნენ, ახალგაზრდობამ განგაში ატეხა. ამის შესახებ ბევრგან ითქვა და დაიწერა. მშენებლების „გამარჯვებისა" იმთავითვე ბევრს არ სჯეროდა და ამის საფუძველი მართლაც იყო. ეჭვები უფრო გაღრმავდა, როცა მშენებლებმა ნახევრად დაუმთავრებელი სახლი სახსრების უქონლობისა და სხვა ტექნიკური მიზეზების გამო მიატოვეს. სულ მალე მიტოვებული მშენებლობის შესახებ კვლავ ატყდა განგაში პრესაშიც და ტელევიზიაშიც.

დიახ, იმ ადგილას სიცოცხლემ ვერ დაისადგურა. აბა, სად გაგონილა ზედ მდინარის კალაპოტში შენობის აგება? იგი ხომ ორმაგ სახსრებს მოითხოვდა და განა ეს მიკრორაიონის დამპროექტებლებისთვის ცნობილი არ უნდა ყოფილიყო? იქნებ მდინარე ძირულის დაშრობას ელოდნენ? ჰოდა, ამ ვაიმშენებლობას სტადიონიც შეეწირა. მერე და სპორტის რამდენი თაყვანისმცემელი ჰყავდა ამ ბაზას.

ერთი სიტყვით, საქმე გაფუჭდა. იქნებ ამ საქმის „მამამთავრებმა" ილონონ რამე, ან მშენებლობა დაასრულონ, ანდა, იქნებ სტადიონი „დაგვიბრუნონ".

ს. ნიშნიანიძე.

დაბა შორაპანი.

ჭადრაკი

შეხვედრები ფინიშის წინ

ალმა-ათაში გრძელდება სსრ კავშირის ახალგაზრდა ოსტატთა ჩემპიონატი, სადაც უკვე 10 ტური გათამაშდა.

როგორც ჩანს, თბილისელმა ოსტატმა გ. ზაიჩიკმა VIII ტურში დაივიწყა უბრალო ჭეშმარიტება, რომ საკავშირო ჩემპიონატში არ არიან სუსტი მონაწილენი. ამ ტურში იგი ბაქოელ ე. მაგერამოვს ხვდებოდა. თამაში მწვავედ წარიმართა და პარტია ბაქოელი ოსტატის აშკარა უპირატესობით გადაიდო. IX ტურში ზაიჩიკი დიდი გულისყურით მოეკიდა შეხვედრას ჭაბუკთა შორის მსოფლიოს ექს-ჩემპიონთან, საერთაშორისო ოსტატ ვ. ჩეხოვთან (მოსკოვი) და პარტია ყაიმით დაამთავრა. X ტურში იგი კიდევ უფრო ძლიერად ეთამაშა ერთ-ერთ ფავორიტს ა. პანჩენკოს (ჩელიაბინსკი) და გაიმარჯვა.

10 ტურის შემდეგ ზაიჩიკს 6 ქულა აქვს. იგი კვლავ ლიდერთა ჯგუფშია ა. ხარიტოვთან (ივანოვო) და ლვოველ ა. მიხალჩიშინთან ერთად.

ჭაბუკი მოჭადრაკე სტურუა პირველად მონაწილეობს ესოდენ ძლიერ ახალგაზრდა ოსტატთა შეჯიბრებაში. ამიტომ სტარტზე იგი ცოტა დაიბნა, მაგრამ მერე ენერგიული თამაშით ფეხი აუწყო გამოცდილ კოლეგებს და შესამჩნევად გამოასწორა მდგომარეობა (3,5 ქულა 7-დან).

ქართველი მოჭადრაკე ტურნირის ეკვატორზეც დიდი მონდომებით იბრძვის. VIII ტურში მან ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია ჩეხოვს და შეხვედრა ყაიმით დაამთავრა. მეორე დღეს იგი პანჩენკოს ხვდებოდა. ჩელიაბინსკელმა გამოიყენა თეთრი ფიგურებით თამაშის უპირატესობა და პერსპექტიული პოზიცია მიიღო, რაც ბოლომდე შეინარჩუნა (პარტია გადაიდო). წარუმატებლობამ სტურუას მონდომებას ვერაფერი დააკლო. X ტურში მან ძლიერად შეუტია ა. ივანოვს (მოსკოვის ოლქი) და პარტია მოსაგებ პოზიციაში გადადო.

ჭაბუკთა ჩემპიონატი ფინიშს მიუახლოვდა: სათამაშო დარჩა დასკვნითი ხუთი ტური.

ნორჩი მოგზაური

მთები და სამთო ტურიზმი გია ფარცვანიას ბაბუამ შეაყვარა. ცხრა წლის იყო, მწვერვალ ჩუმკუზბის დალაშქვრაში რომ მიიღო მონაწილეობა.

სამი წლის წინათ პატარა გია უფროსებთან ერთად ავიდა ქლუხორის ზეკარის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ მწვერვალზე. მაშინ იქ მოსკოვის საათების ქარხნის კომკავშირელებმა ობელისკი აღმართეს ა. გუსევის ალპინისტური რაზმის მებრძოლთა პატივსაცემად. ეს ის გუსევია, რომელმაც დიდი სამამულო ომის დროს იალბუზზე გერმანელ ფაშისტთა სვასტიკიანი დროშა ჩამოხსნა და საბჭოთა ალამიააფრიალა. იგი ახლაც თან ახლდა მოლაშქრეებს.

სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლე გია ფარცვანია ისე თამამად, ამაყად მიჰყვებოდა ქლუხორის ბილიკებს, რომ ცნობილი მთამსვლელი გაოცებას ვერ ფარავდა...

გია სათუთად ინახავს სპორტის ოსტატ ა. გუსევთან ლაშქრობის დროს გადაღებულ ფოტოსურათებს.

არდადეგების დღეებში გიამ უფროსებთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიაში იმოგზაურა ფეხით და იალბუზზე 4200 მეტრ სიმაღლეზე მდებარე თერთმეტის თავშესაფრამდე ავიდა. შემდეგ ნორჩი მოგზაური ჩრდილოეთ კავკასიიდან დონგუზორუნის თოვლიანი ზეკარით სვანეთში გადავიდა და ნაკრის ულამაზესი ხეობა მოინახულა.

გია ფარცვანიამ გადაწყვიტა უფროსების დახმარებით სკოლაში ტურისტული ჯგუფი ჩამოაყალიბოს.

ნ. ციქაზავიძე.

სოხუმი.

ჭიდაობა

ქუთაისსა და გორში

გაიმართა ზონალური შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში. ამგვარი ტურნირი ჩატარდება საგარეჯოშიც და ზონალური ასპარეზობის II ტური მხოლოდ ამის შემდეგ მოეწყობა. II ტურში პირველ ექვს ადგილზე გასულთა შორის კიდევ ერთი ტურნირი გაიმართება და საქართველოს უძლიერესი გუნდიც გამოვლინდება.

სამწუხაროდ, ქუთაისის ზონაში მოასპარეზეთა შორის ვერ ვიხილეთ აფხაზეთის, სამტრედიის, მახარაძის, ლანჩხუთის, ტყიბულისა და ჭიათურის გუნდები. მონაწილეთა რაოდენობის მხრივ გორის ზონაში შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო, მაგრამ გუნდები სათანადოდ მომზადებული არ აღმოჩნდნენ.

ქუთაისის ზონის გუნდური შედეგები ასეთია: 1. ლენტეხი, 2. ქუთაისი, 3. აჭარა, 4. ზესტაფონი, 5. მესტია. წონითი კატეგორიების მიხედვით უძლიერესნი იყვნენ: გ. მეშველიანი (ლენტეხი), ვ. ბალიაშვილი (ქუთაისი), მ. ლიპარტელიანი (ლენტეხი), რ. ავალიანი (ქუთაისი), რ. სალარიძე, მ. ზარნაძე (ორივე — ზესტაფონი), ს. გუგავა (ლენტეხი), ტ. მუსელიანი (ქუთაისი).

გორის ზონა. გუნდური შეჯიბრება: 1. გორი, 2. დუშეთი, 3. გორის რაიონი, 4. ქარელი, 5. სამხრეთ ოსეთი. პირადი პირველობა წონითი კატეგორიების მიხედვით: რ. იმერლიშვილი, თ. ვალიევი (ორივე — გორი), ბ. მოხევიშვილი (დუშეთი), ი. გოქშელიძე (გორი), ი. ანცარიძე (ქარელი), ვ. მთიულიშვილი (დუშეთი).

რ. თარგამაძე,
საქართველოს სპორტკომიტეტის მწვრთნელი ჭიდაობაში.

●

ქიზიყელის ხსოვნისა

სიღნაღის რაიონში სათუთად ინახავენ სახელგანთქმული ქართველი ფალავნის ვანო აბულაძე-ქიზიყელის ხსოვნას. სოფელ ჯუგაანში დაბადებული ღარიბი გლეხის შვილი უდიდესი შრომისმოყვარეობისა და შეუპოვრობის მეოხებით თავისი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი მოჭიდავე გახდა. მისი შეუდარებელი ტექნიკითა და ვაჟკაცური შემართებით აღტაცებული იყვნენ ჭიდაობის მოყვარულები რუსეთის ყოფილი იმპერიის ყველა დიდ ქალაქში და საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. ბეჭდაუდებელ ფალავანს მისი დიდი ღონის გამო ხალხმა „კამბეჩუა“ შეარქვა.

ქიზიყში ჭიდაობა იმთავითვე დიდად პოპულარული იყო. ყოველი სახალხო ზეიმი ქართული ჭიდაობით მთავრდებოდა. სპორტის ამ ეროვნული სახეობის შემდგომ განვითარებას ისახავს მიზნად სიღნაღის ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის გადაწყვეტილება, რომ ყოველწლიურად ჩატარდეს შეჯიბრება ცნობილი ფალავნის ვანო აბულაძის სახელობის გარდამავალ თასზე.

ახლახან წნორის საჭიდაო დარბაზში ჩატარდა პირველი შეჯიბრება. თასი მოიპოვეს წნორის ზოოვეტტექნიკუმის მოჭიდავეებმა. მეორე ადგილი წილად ხვდათ ჯუგაანის კოლმეურნეობის წარმომადგენლებს. მესამე იყო ანაგის კოლმეურნეობის გუნდი.

ნ. ბეროშვილი.

სოფლის სპორტი: პრობლემები, პერსპექტივები

იქნებ აღადგინონ?

◆

- თუმც გულხელდაკრეფით არ სხედან
- დიდი სპორტის წარმატებათა სათავე
- ძიუდოისტთა შეჯიბრი — ქართული ჭიდაობის ჩოხებში
- მოხეტიალე... ლეიბები
- იერიშობანა ვერაფერი მეგობარია
- კეთილმოსაგონარი ზემო ხოდაშნის ცირკი

ახმეტის რაიონმა ქართულ და საბჭოთა სპორტს ბევრი სახელოვანი მოჭიდავე მისცა. საამაყოდ ახმეტელებს მარტო ფარნაოზ, ზაალ, ვლადიმერ ჩიკვილაძეების, ნოდარ ყაჩმაზაშვილის, ანზორ და ოთარ ქიბროწაშვილების, შენგელი ფიცხელაურის, ბუღდან ბალაკაშვილის, ვახტანგ ბორჩაშვილის, ზაქარია ბაკურაძის, სიმონ მაისურაძისა და იგორ ძიგლიგაშვილის სახელებიც ეყოფოდათ. ხოლო მათი რიცხვი, ვინც სპორტის ოსტატის წოდებას ატარებს და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა, ხუთ ათეულს აჭარბებს. ეს დიდი ძალაა.

გავიდა წლები. წარსული დიდება თანდათან დავიწყებას მიეცა, სახელოვან წინამორბედთა ტრადიციების გამგრძელებელი აღარავინ ჩანს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ახმეტელი სპეციალისტები, სპორტის მესვეურები, მწვრთნელები გულხელდაკრეფილი სხედან. არა, მათ ძალზე აწუხებთ შექმნილი მდგომარეობა და ცდილობენ კიდეც რაიმე იღონონ დაკარგული პოზიციების დაბრუნებისთვის.

დიდ სპორტში წარმატებებს საძირკველი ბავშვობის ასაკიდანვე ეყრება. სწორედ ამიტომ, ახმეტელები მთავარ ყურადღებას მოზარდთა შორის მუშაობას აქცევენ. რაიონის სპორტულ სკოლაში, რომელსაც ამჟამად სათავეში უდგას რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი ჭიდაობაში, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი გ. ქოჩიშვილი, ჭიდაობის ცხრა ჯგუფია შექმნილი — სამ-სამი ყოველ სახეობაში. ამ ჯგუფებში 135 ნორჩი მოჭიდავე მეცადინეობს, მსურველი კი გაცილებით მეტია. ნორჩთა დაოსტატებას ხელმძღვანელობენ რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელები გ. გიგაური და გ. ქოჩიშვილი, სპორტის ოსტატები ზ. ქუშანაშვილი, გ. იოსებაშვილი, ვ. ჯიღაშვილი, გ. ჩაფურიშვილი, ნ. ახალაური და სხვები.

წარმატებები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, მუშაობისთვის საჭირო პირობები რომ ჰქონდეთ. არა აქვთ არც ერთი სპორტული დარბაზი, არ ჰყოფნით ინვენტარი, კიმონოები ძიუდოსთვის. მთელ წელიწადს ვეძებეთ და ვერსად მივაკვლიეთ, რომ ბავშვებს მაინც ვაჩვენოთო — თქვა ერთ-ერთმა მწვრთნელმა და დასძინა: ამიტომ ძიუდოისტებს ქართული ჭიდაობის ჩოხები აცვიათო.

ახმეტაში ცხოვრობენ სამი ძმა ახალაურები — რომანი, ნოდარი და გივი. სამივე მოჭიდავეა, სამივე სპორტის ოსტატი. გივიმ ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა ჭიდაობის განხრით და სოფელ მატნის მე-2 საშუალო სკოლაში მუშაობს ფიზაღზრდის მასწავლებლად. ახალგაზრდა სპეციალისტმა სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ცენტრალურ საბჭოს სთხოვა დახმარება და ხელიც გაუმართეს: 15 ნახმარი ლეიბი გადასცეს ფიზკულტურელებისთვის. მასწავლებელმა ლეიბები სოფელში ჩაიტანა და ძველ ეკლესიაში დააგო, მოჭიდავეთა ჯგუფიც შექმნა და მეცადინეობას შეუდგა. მაგრამ მერე, ამინდები რომ გაფუჭდა, ეკლესიაში წვიმა ჩამოვიდა და იქ ვარჯიში შეუძლებელი გახდა. სწორედ იმ დროს სოფლის კლუბში შეჯიბრება მოაწყვეს და ლეიბებიც იქ გადაიტანეს. ერთხანს კლუბმა შეიკედლა ნორჩი მოჭიდავეები, მაგრამ იქაც ფანჯრის მინები ჩამტვრეულია, ცივა და ამიტომაც ახლა ლეიბები სადურგლო სახელოსნოში აწყვია გაზაფხულის მოლოდინში. ბავშვებს კი გული ერჩით, უნდათ ერთმანეთს შეეჯიბრონ, დაოსტატდნენ. რომელი მწვრთნელი შეძლებს ასეთ პირობებში მაღალი კლასის სპორტსმენთა აღზრდას?

ახმეტის რაიონის საშუალო სკოლებში 40 ფიზაღზრდის მასწავლებელი მუშაობს. მათგან ოცდათორმეტს სპეციალური უმაღლესი განათლება აქვს, ათი კი სპორტის ოსტატია. ეს დიდი ძალაა, მაგრამ რა ქნან, თუ მუშაობის პირობებს არ შეუქმნიან? ამაზე არავინ ზრუნავს, არც რაიონის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობა, არც „კოლმეურნის“ რაისაბჭოს მესვეურები. „კოლმეურნეს“ რაიონში არ ჰყავს მოჭიდავეთა ჯგუფი, რომელიც მთელი წლის მანძილზე რეგულარულად ივარჯიშებდა. როგორც რაისაბჭოს თავმჯდომარემ ი. ლუზარაულმა გვითხრა, რესპუბლიკური შეჯიბრების წინ ერთი-ორი თვით შეკრებენ რაიონის გუნდს და რასაც ამ ხნის განმავლობაში მოასწრებენ, ის არის სულ მათი მეცადინეობა. ბუნებრივია, ასეთი გზით რაიონის მოჭიდავეები ძველ დიდებას ვერ დაიბრუნებენ.

ვისაც კი ახმეტის რაიონში ვესაუბრეთ, ყველა გულისტკივილით იგონებდა ზემო ხოდაშნის ცირკს, სადაც მშვენიერი სარბიელი იყო. იქ აღიზარდნენ ჩვენი ცნობილი ფალავნები. მთის შორეული სოფლებიდანაც კი მოდიოდა ახალგაზრდობა ზემო ხოდაშენში სავარჯიშოდ. მაგრამ ერთ „მშვენიერ“ დღეს კოლმეურნეობის ერთმა უთავურმა ხელმძღვანელმა, რომელმაც რატომღაც მოიძულა ცირკი, ეს მშვენიერი ბაზა მიწასთან გაასწორა.

მართლაც კურიოზია: სოფელს ჰქონდეს შესანიშნავი ბაზა, სადაც მთელი რაიონის ახალგაზრდობა იწრთობა, ეუფლება ჭიდაობის საიდუმლოებას, სადაც უფროსები თავიანთ მდიდარ გამოცდილებას გადასცემენ მოზარდებს და ასე დაუფიქრებლად, უგუნურად დააქციონ? საკითხავია, სად იყვნენ რაიონის მაშინდელი მესვეურები, პირველ ყოვლისა კი კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელები?

ახმეტის რაიონის ახალგაზრდობა, სპორტის მუშაკები ზემო ხოდაშნის ცირკს დღესაც დიდი სიყვარულით იგონებენ და იმედით შეჰყურებენ მომავალს — იქნებ ის მაინც აღადგინონ, რაც დაანგრიეს...

რ. შანშიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

სამი მატჩი — სამი გამარჯვება

ნიუ-იორკი. 7 თებერვალი. (საქდესის კორ. ვ. ბაიდაშინი). თამამად შეიძლება ითქვას, რომ სსრ კავშირის მოკრივეთა ნაკრების წლევანდელი გამოსვლა ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმატებით დამთავრდა. ტყავის ხელთათმნის საბჭოთა ოსტატები სამჯერ შეხვდნენ ამერიკელ მეტოქეებს და სამივეჯერ გაიმარჯვეს. მილუოკის რინგზე გამართული უკანასკნელი მატჩი მათ მოიგეს ანგარიშით 7:3.

ბოლო მატჩში (შეხვედრათა საერთო ანგარიშია 20:9) ა. ტკაჩენკომ თავიდანვე ყოველგვარი იმედი გადაუწურა შ. ტომასს, რომელიც ორჯერ ჩააგდო ნოკდაუნში. ვ. რიბაკოვმა აშკარა უპირატესობით მოუგო რ. კარის. აღტაცებულმა მაყურებელმა ოვაცია გაუმართა საბჭოთა სპორტსმენს. ვ. სავჩენკომ ნოკაუტით მოუგო რ. როზენბერგს. ჯ. ტილსისა და დ. კვაჭაძის შეხვედრაში მსაჯებმა გამარჯვება ერთსულოვნად მიაკუთვნეს საბჭოთა სპორტსმენს. ამერიკელი კვაჭაძეზე 8 კილოგრამით მეტს იწონიდა (მასპინძლებმა განაცხადეს, ქვემძიმე წონის ათლეტი არა გვყავსო).

ი. ვისოცკიმ ცოტა „დუნედ" დაიწყო შეხვედრა ვ. კლარკთან, ფიზიკურად ძლიერ ათლეტთან, რომელიც ერთი შეხედვით ძალოსანს უფრო ჰგავს. კლარკის ერთ-ერთი კონტრიერიშის დროს ვისოცკის გამოეპარა უძლიერესი დარტყმა მარჯვენიდან — ნოკდაუნი. დარბაზი სენსაციის მოლოდინში გაირინდა. მაყურებელი კლარკის გამარჯვებას ელოდა, მაგრამ საბჭოთა სპორტსმენს სწორედ ეს დარტყმა „დაეხმარა". ვისოცკიმ ძალა მოიკრიბა და მეტოქის ყველა იერიშს ზუსტი, მძლავრი დარტყმებით ხვდებოდა. მეორე რაუნდში რეფერიმ ბრძოლა შეწყვიტა საბჭოთა მოკრივის აშკარა უპირატესობის გამო.

— წლევანდელი მატჩებით კმაყოფილი ვართ, — უთხრა საქდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ა. კისელიოვმა. — ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ შეხვედრათა შედეგები ჩვენთვის, სპეციალისტებისთვის, სიურპრიზი არ ყოფილა. საქმე ისაა, რომ უძლიერესი ამერიკელი მოკრივეები, მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონები პროფესიულ სპორტში გადავიდნენ. საბჭოთა სპორტსმენებს კი ახლა უმეტესად „მომავალი ოლიმპიელები", ახალგაზრდა ათლეტები ხვდებოდნენ.

ამერიკაში გამართულმა ორთაბრძოლებმა მე და ჩემს კოლეგას ალექსანდრე ჩებოტარიოვს საშუალება მოგვცა შეგვემოწმებინა ჩვენი სპორტსმენების მზადყოფნა მსოფლიოს, ევროპისა და კიდევ უფრო შორი — ოლიმპიური შეჯიბრებებისთვის. შევნიშნეთ, რომ ყველა ჩვენი უძლიერესი მოკრივე როდი ატარებს მთელ შეხვედრას ენერგიულად, მაღალი ტემპით, მთელი ძალით, ჩვენი გუნდის ზოგიერთი სპორტსმენი ადვილად თმობდა უპირატესობას, თუმცა კლასითა და ოსტატობით სჯობდა კიდეც მეტოქეს.

— ეჭვი არ არის, მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე ამერიკელები მოკრივეთა ძლიერ ნაკრებს ჩამოიყვანენ, — ხაზგასმით აღნიშნა ა. კისელიოვმა. — დღევანდელი ჭაბუკები ოლიმპიადამდე დარჩენილ სამ წელიწადში კიდევ უფრო დაოსტატდებიან.

რაც შეეხება საბჭოთა ნაკრების გეგმებს, კისელიოვმა თქვა, რომ გუნდში ადგილი „დაჯავშნილი" არავის აქვს. მაგალითად, ევროპის ჩემპიონატის საგზური უნდა გაიცეს საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც მარტში ფრუნზეში ჩატარდება.

დ. კვაჭაძე.

ჩემპიონატის ცხელი დღეები

მშვილდოსნობა

საქდესის სპორტული მიმომხილველი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი **ემა გაპჩენკო** გვესაუბრება მშვილდოსანთა 29-ე მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ, რომელიც დღეს იწყება და 12 თებერვლამდე გაგრძელდება ავსტრალიის დედაქალაქ კანბერაში.

ეს შეჯიბრება მძიმე გამოცდა იქნება 25 ქვეყნის 125 მშვილდოსნისთვის. ჯერ ერთი, უწინ თებერვლისთვის ტურნირებს არ გეგმავდნენ. ეს დრო, ჩვეულებრივ, წინასასეზონო მზადებისთვის ჰქონდათ გამოყოფილი მშვილდოსნებს, რომელთაც ახლა დასჭირდათ ექვსი თვის მანძილზე შეენარჩუნებინათ ოლიმპიადისთვის მიღწეული სპორტული ფორმა. მეორეც, რამდენადაც ვიცი, კანბერაში ახლა შუა ზაფხულია და სიცხე 32 გრადუსს აღწევს. თუმცა, მაგონდება, რომ სწორედ ასე ცხელოდა 1969 წელს ამერიკის ქალაქ ველი ფორჯში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის დროს. ჩვენ ამ შეჯიბრების დებიუტანტები ვიყავით. სარბიელზე მეც გამოვედი და გავიმარჯვე კიდეც.

ამჯერად მთავარ იმედს ქალთა გუნდზე ვამყარებთ. ნაკრებს სათავეში უდგას მსოფლიო ჩემპიონი, დუშანბელი სპორტსმენი ზებინისო რუსტამოვა. იგი ჯერ მხოლოდ 21 წლისაა, მაგრამ უკვე საკმაოდ მდიდარი გამოცდილება აქვს. ზებინისოს მონაწილეობა მიუღია ყველა რანგის საერთაშორისო ტურნირებში — კონტინენტის პირველობით დაწყებული, ოლიმპიური თამაშებით დამთავრებული. გუნდში არიან, აგრეთვე, ტაშკენტელი ოლგა რულენკო, ირკუტსკელი ლიდია შიკოტა და 19 წლის ჩიტელი მშვილდოსანი ლხამაჟაბ დაშირაბდანოვა. იმედი გვაქვს, ისინი შეინარჩუნებენ მსოფლიოში უძლიერესი გუნდის სახელს. გაგახსენებთ, რომ 1969 წლიდან დაწყებული საბჭოთა სპორტსმენებმა მხოლოდ ერთხელ დათმეს გუნდური პირველობა მსოფლიო ჩემპიონატებში.

ამავე დროს, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პირად შეჯიბრებაში ერთ-ერთი ჩვენი სპორტსმენი მაინც გაიმარჯვებს. ჩემი აზრით, ოქროს მედლებისთვის ბრძოლის უნარი შესწევთ რუსტამოვასაც და რულენკოსაც. მართალია, მათ ძლიერი მეტოქეები ეყოლებათ, რომელთაგანაც პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ ოლიმპიური ჩემპიონი ლიან რაიენი (აშშ).

რაც შეეხება საბჭოთა მშვილდოსან ვაჟთა გუნდს, მას უფრო გაუჭირდება კანბერაში ასპარეზობა. საკმარისია ითქვას, რომ იქ სარბიელზე გამოვლენ 1976 წლის ოლიმპიური ჩემპიონი დარელ ჰეისი (აშშ), ხიროსი მისინაგა (იაპონია), კარლო ფერარი (იტალია). ოცი წლის ჰეისს დღეისთვის ხუთი ოლიმპიური და ოთხი მსოფლიო რეკორდი აქვს დამყარებული. 18 წლისა იგი უკვე მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი იყო.

მოსკოველი ვლადიმერ ჩენდაროვი, რომელსაც მწვრთნელები უთუოდ გუნდის ლიდერის როლს დააკისრებენ, მონრეალის თამაშებში V ადგილზე გავიდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩენდაროვი ოლიმპიური თამაშების დებიუტანტი და მშვილდოსან ვაჟთა შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის ერთადერთი წარმომადგენელი იყო, ეს შედეგი ურიგოდ არ მოგვეჩვენება.

ახლა საბჭოთა კავშირის ვაჟთა გუნდში ჩენდაროვის გარდა ჩარიცხული არიან ჩიტელები ვლადიმერ ეშჩეევი და მელს დაბაევი, აგრეთვე, ბაქოელი ნუგზარ მიქელაძე.

საბჭოთა მშვილდოსანთა ოსტატობის დონე წლიდან წლამდე იზრდება. დღეს მაღალი კლასის სპორტსმენები გვყავს ჩიტაში, ტაშკენტში, ტალინში, ნოვაია კახოვკაში, ვოროშილოვგრადში, აშხაბადში, დუშანბეში, მოსკოვში, ირკუტსკში. მშვილდოსნობის პროპაგანდისთვის დიდ მუშაობას ეწევა ბურიატთა ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სპორტკომიტეტი. ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ 1980 წლის ოლიმპიადას საბჭოთა მშვილდოსნები ყოველმხრივ მომზადებულნი შეხვდებიან. მაგრამ ამისთვის, რასაკვირველია, ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა გვმართებს. ჩვენს ქვეყანაში მშვილდოსნობამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია საჭირო პოპულარობას. მრეწველობამ ვერ აითვისა ახალბედებისთვის გამოსადეგი მშვილდების წარმოება, არ გვყოფნის სასროლეთები. არადა, ამ ოლიმპიურ სახეობას უთუოდ დროულად უნდა მიექცეს ყურადღება.

სურათზე: ზ. რუსტამოვა.

ჯილდო ვაჟკაცობისათვის

წლის საუკეთესო სპორტსმენი

ლონდონი. 14 თებერვალს ინგლისის დედაქალაქში მოეწყობა საზეიმო ცერემონიალი, სადაც „ყველაზე მამაც სპორტსმენს" გადაეცემა „სიმბოლური გვირგვინი" — ოქროსგან ჩამოსხმული დაფნის ტოტი. „დედოფალ ვიქტორიას სპორტული კლუბის" თავმჯდომარის მიერ დაწესებული ეს ჯილდო ყოველწლიურად გადაეცემა სპორტსმენს, რომელიც სარბიელზე ყველაზე მეტ ვაჟკაცობას და მტკიცე ნებისყოფას გამოიჩენს.

წლეულს ამ ტიტულის კანდიდატები დაასახელა 114 ქვეყანამ, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, სსრ კავშირმა, იაპონიამ, კუბამ.

„ამ უჩვეულო კონკურსის მონაწილეთა რიცხვმა გადააჭარბა მონრეალის თამაშებში მოასპარეზეთა რაოდენობას", — ამბობს კლუბის თავმჯდომარე.

კანდიდატთა შორის არის საბჭოთა ჰოკეისტი ვალერი ხარლამოვი, რომელმაც ფეხი მოიტეხა, მაგრამ დაძლია მძიმე ტრავმით გამოწვეული ტკივილი, განაახლა წვრთნა და ისეთ დონეს მიაღწია, რომ კვლავ ჩარიცხეს ქვეყნის ნაკრებში. მასთან ერთად დასახელებულია ავსტრალიელი ავტომრბოლელი ნიკი ლაუდა. გფრ-ში გამართული რბოლის დროს იგი მძიმე კატასტროფაში მოჰყვა. ექიმებმა ხელიც კი ჩაიქნიეს, მაგრამ სპორტსმენი გადაარჩინა უდიდესმა ნებისყოფამ. მან საოცარი სულის სიმტკიცე გამოიჩინა და უკვე ექვსი კვირის შემდეგ კვლავ მიუჯდა მანქანის საჭეს, თუმცა იარები ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშუშებული და ყოველი მოძრაობა აუტანელ ტკივილს აყენებდა. მაგრამ ავსტრალიელმა სპორტსმენმა მაინც შეძლო მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება.

პრიზის ლაურეატს საგანგებო საერთაშორისო ჟიური დაასახელებს. ტრადიციის თანახმად, ცერემონიალი ლონდონის „ჰილდჰოლში" მოეწყობა.

(საქდესი).

ტელეტაიპის ლენტიდან

მოსკოვი. ზნამენსკების სახელობის ზამთრის სტადიონზე გამართულ ღია საქალაქო ჩემპიონატში კიშინიოველმა ლ. კუზელენკოვამ 186 სმ სიმაღლე გადალახა და საკავშირო რეკორდი დაამყარა დარბაზებისთვის. ს. მოლოტილოვი და ვ. აბრამოვი 218 სანტიმეტრზე გადახტნენ. 60 მეტრზე შეჯიბრებაში მოსკოველმა მორბენალმა ლ. სტოროჟკოვამ ევროპაში სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა — 7,2. ს. კრაჩევსკაიამ ბირთვი 19,09 მეტრზე ჰკრა. ეს ჯერჯერობით სეზონის საუკეთესო შედეგია საბჭოთა კავშირში.

დორტმუნდი. გფრ-ის პირველობაში 19 წლის კ. ტრიონჰარდტი 220 სმ სიმაღლეზე გადახტა. ზამთრის ჩემპიონატში ამავე სახეობაში ქალთა შორის ყველას აჯობა ბ. ჰოლცაპფელმა — 186 სმ. ე. ვილმსმა ბირთვი 20,38 მეტრზე ჰკრა (სეზონის მეორე შედეგი მსოფლიოში).

ინგლვუდი (კალიფორნია). მძლეოსანთა შეჯიბრებაში, რომელსაც გაზეთი „ლოს-ანჯელეს ტაიმსი" ატარებს, მსოფლიო რეკორდსმენმა დ. სტოუნზმა (აშშ) 228 სმ სიმაღლე დაძლია. ეს სეზონის საუკეთესო შედეგია მსოფლიოს დარბაზებში. სტოუნზის თანამემამულემ ტ. ოლბრიტონმა ბირთვი 21,50 მეტრზე ჰკრა. კიდევ ერთმა ამერიკელმა სპორტსმენმა, 21 წლის რ. ბრაიანდმა 500 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 1.11,8 (მეორე იყო ოლიმპიური ჩემპიონი 400 მეტრზე რბენაში, პოლონელი სპორტსმენი ი. შევინსკა — 1.13,9).

პელეს მიმართვა ჭაბუკებისადმი

პელემ გამოაქვეყნა საახალწლო მილოცვა ყველა ქვეყნის ჭაბუკი ფეხბურთელებისადმი, სადაც ნათქვამია: „უდიდეს სიამოვნებას განვიცდი, როდესაც სხვადასხვა ქვეყანაში ჭაბუკ ფეხბურთელთა მატჩებში ვმონაწილეობ. ასეთ შეხვედრებში ნათლად ჩანს ფეხბურთის მთელი სილამაზე და მომხიბლაობა".

●

რეკორდიც ამას ჰქვია!

საოცარი რეკორდი დაამყარა საფრანგეთის უძლიერესმა გუნდმა „სენტ-ეტიენმა". თითქმის 3 წელია იგი არ დამარცხებულა საკუთარ, „ჟოფრუა გიშარის" სტადიონზე, უკანასკნელი მატჩი აქ „სენტ-ეტიენმა" წააგო 1973 წლის 24 მარტს („ნანტთან" — 1:2). ამ ხნის განმავლობაში საფრანგეთის ჩემპიონმა შინ გამართა 72 შეხვედრა, 58 მოიგო და 14 ფრედ დაამთავრა (ბურთების სხვაობაა 177-51).

●

ბიძა და ძმისწული

ჰოლანდიის ჩემპიონატის ლიდერს — „აიაქსს" ამას წინათ ფიცხელი ბრძოლა გაუმართა პროვინციულმა კლუბმა „ნიიმეგენმა". „აიაქსმა" გაჭირვებით მოიგო — 2:1. საყურადღებოა, რომ ეს იყო ამ გუნდის მეათასე მატჩი იმ ხნის მანძილზე, რაც ჰოლანდიაში პროფესიული ლიგა არსებობს (1956 წლიდან). „აიაქსის" ვეტერანის — ბარი ჰულსჰოფის წინააღმდეგ თამაშობდა მისი ძმისწული ვენ ჰულსჰოფი, რომელიც სულ 17 წლისაა და პირველი წელია თამაშობს „ნიიმეგენში".

ტრეზორი მძიმედ დაშავდა

ზანგი ცენტრალური მცველი ტრეზორი — მარსელის „ოლიმპიკისა" და საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი, მძიმედ დაშავდა და ხანგრძლივად უნდა იმკურნალოს. თავისთავად ცხადია, იგი პარიზში 23 თებერვალს ვერ ითამაშებს გფრის ნაკრების წინააღმდეგ გამართულ მატჩში, რომელსაც ფრანგები დიდი ინტერესით მოელიან.

საკითხავია ისიც, გამოვა თუ არა ტრეზორი 30 მარტს დუბლინში ირლანდიის ნაკრებთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ერთადერთი მოგება

შვეიცარიის ნაკრებმა მთელი 1976 წლის მანძილზე მოიგო ერთადერთი (!) მატჩი — 2:1, პოლონელებთან. ასეთი შედეგების შემდეგ ცხადი იყო, რომ ნაკრების მწვრთნელს ჰიუსის აუცილებლად გაათავისუფლებდნენ და ასეც მოხდა. მის ნაცვლად ნაკრების მთავარ მწვრთნელად მიიწვიეს იუგოსლაველი სპეციალისტი ბლაჟევიჩი. მან წინდახედულად გააფრთხილა შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაცია, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მდგომარეობის გამოსწორება არ მოსთხოვონ, ვინაიდან ეს სავსებით არარეალური ამბავია. შვეიცარიელები დათანხმდნენ.

რედაქტორი ა. გასილაია.

საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ტანვარჯიშის კათედრის უფროსი მასწავლებლის ადგილზე (უმაღლეს სასწავლებელში პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების მქონე).

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში ყოველდღე, 9 დან 16 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49. ტელეფონები: 22 31-60, 23-09-02.

ფედერაციის პლენუმი

12 თებერვალს საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში (ჭავჭავაძის პრ. № 49) გაიმართება ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმი.

დასაწყისი 10 საათზე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონი ცნობებისთვის 93-97-57.

7 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 09738